მოცემული ტექსტი წარმოადგენს შერჩეულ - სავალდებულო, ტრადიციებიდან გამომდინარე ან ამჟამად, არაოფიციალურად დამკვიდრებულ მოთხოვნებს რომლებიც სამონადირეო სექტორის ორგანიზაციის და ნადირობისას სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებულად გამოიცადა. ნაწილობრივ დებულებები იურიდიულად სავალდებულოა, თუმცა კანონების ან კანონდაქვემდებარე დებულებების უმეტესი ნაწილი მხოლოდ მონადირეებზე არ არის მიმართული. ბუნების დაცვის, სატყეო, იარაღის ფლობის ან სურსათის უსაფრთხოების დაცვის შესახებ ეროვნული კანონები შეიცავენ მონადირეებისათვის პირდაპირ გასათვალისწინებელ დირექტივებს. უსაფრთხოების დაცვის წესები, ორგანიზებული ნადირობის ნებაყოფლობითი შეზღუდვები ან ტრადიციული, კულტურულად ჩამოყალიბებული სტანდარტები ავსებენ დირექტივებს. მათი სიღრმე განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით, და ბევრის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ნაციონალურ კონტექსტში. ამიტომ აქ შერჩეული დირექტივები ორიენტირებისთვის არის გათვლილი და ასევე სტიმული უნდა მისცეს დისკუსიების გამართვას. გერმანული სამონადირეო წესები ვრცელი წყაროების არსებობის საფუძველზე უფრო დაწვრილებით არის აღწერილი ვიდრე სხვა ქვეყნებისა. მოცემული დირექტივების კრებული არ არის სრულყოფილი. ლინგვისტურად ისინი ისეა გამარტივებული, რომ შინაარსი საყოველთაოდ გასაგები დარჩეს. გათვალისწინებულია ასევე ის ფაქტი, რომ ამით შეიზღუდა ტექსტის ტექნიკური და იურიდიული ტერმინოლოგიის მკაფიობა.

ტექსტის დამუშავებისას მარჯვენა ნაცრისფერი სვეტი მკითხველის საკუთარი ჩანიშვნებისთვის იქნა დატოვებული. შუა სვეტში მინიშნებულია ის ქვეყანა, რომელშიც მოცემული დებულება პრაქტიკაში ხორციელდება. დირექტივების შეფასება მოხდა შემდეგი 13 ევროპული ქვეყნის მაგალითის მიხედვით: გერმანია (DE), შვედეთი (SE), ავსტრია (AT), ნიდერლანდი (NL), დანია (DK), ფინეთი (FI), უნგრეთი (HU), პოლონეთი (PL), ნორვეგია (NO), ირლანდია (IE), ლატვია (LV), იტალია (IT), შვეიცარია (CH). შედარებისათვის დამატებით მოცემულია რამდენიმე სამონადირეო წესი კანადიდან (CA).

1. ნადირობის ნებართვა

<p>1 ნადირობის ნებართვა არის შეუზღუდავი უფლება გარკვეულ ტერიტორიაზე გარეული ცხოველების სამყაროს დაცვის, მოვლის, მათზე ნადირობის და მითვისების შესახებ. ეს ეხება მხოლოდ შერჩეულ გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტებს. (=გარეული ცხოველები)</p>	DE	
<p>2 ნადირობის ნებართვა მიბმულია საკუთრებაში არსებული მიწის მფლობელობაზე. (კანონი მიწის მფლობელის შესახებ).</p>	DE SE AT DK FN NO LV CA	
<p>3 ნადირობის ნებართვა სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია და არ არის მიწის მფლობელობაზე დამოკიდებული.</p>	PL CH	
<p>4 ნადირობის უფლებაში იგულისხმება გარეული ცხოველის მოძებნის, მისი დადევნების, მოკვლის და ასევე მისი მისაკუთრების უფლება.</p>	DE AT	
<p>5 რადგან გარეული ცხოველები არავის ეკუთვნის, საჭიროებს მითვისების უფლების განსაზღვრას. გარეული ცხოველის მითვისების უფლებაში იგულისხმება ავადმყოფი ან მოკლული, უსულო ცხოველის, რქების, ასევე ფრინველის კვერცხების მისაკუთრების უფლებამოსილება.</p>	DE AT	
<p>6 მითვისების უფლება აქვს მხოლოდ ნადირობის უფლებამოსილ პირს, რომელიც ამით მოკლულ ან ნაპოვნ ცხოველზე საკუთრების უფლებას განაცხადებს. (კომენტარი: ნადირობაზე უფლებამოსილი დანიშნავს მოკლულ ცხოველს და ამით მიუთითებს ამ ცხოველზე თავის საკუთრების უფლებას.)</p>	DE AT	

7	<p>ნადირობის უფლების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში (სამონადირეო გამოცდის საფუძველზე გაცემული სანადირო ბილეთის წარდგენა)</p>	DE	
8	<p>ნადირობის ნებართვასთან არის დაკავშირებული გარეულ ცხოველთა სამყაროს მოვლისა და დაცვის ქმედითი ვალდებულება.</p>	DE AT CH	
9	<p><b>გარეულ ცხოველთა სამყაროს მოვლა და დაცვა</b> ნიშნავს, გარეულ ცხოველთა და მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნების შენარჩუნებას მათ ბუნებრივ გარემოში. ყველა არსებული სახეობისათვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი საჭირო საარსებო გარემო. უნდა მოხდეს საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველთა- და მცენარეთა სახეობების განსაკუთრებული დაცვა და ხელშეწყობა შესაბამისი ქმედებებით. გარეულ ცხოველებისათვის უნდა შეიქმნას ან შენარჩუნებულ იქნას მდელოები, მინდვრის ტყის კორომები, ბუჩქნარები, მცენარეებით დაფარული ნაპირები, რომლებიც მათ საკმარის დაცვას და საკვებს მიაწვდიან. გარეულ ცხოველთა სამყაროს მოვლა და დაცვა ემსახურება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.</p>	DE AT CH	
10	<p><b>გარეულ ცხოველთა სამყაროს მოვლისა და დაცვის</b> დებულებებისა და ჩლიქოსნებზე ნადირობის წესების მიხედვით სამონადირეო ტერიტორიის 0,5% საკვები მცენარეებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი</p>	DE	

11	<p>ნადირობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს <b>სამართლიანი ნადირობის</b> საფუძვლებს. ამ არამკაფიო განმარტების დებულების შინაარსი ეხება მონადირის ეთიკურ დამოკიდებულებას გარეულ ცხოველთა სამყაროს მიმართ, ასევე ცხოველთა დაცვის და ბუნების დაცვის საფუძვლებს, მაგრამ ასევე სხვა მონადირეებისა თუ არამონადირეების მიმართ დამოკიდებულებას, ნადირობისადმი პატივისცემის შენარჩუნების ასპექტის და ნადირობის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის შეფასების გათვალისწინებით. <i>(კომენტარი: სამართლიანი ნადირობის ასპექტები შემდგომ ნადირობის კანონის დებულებების კრებულში შევა, როგორც კი მათ განსაზღვრული მნიშვნელობა მეცემათ და მხოლოდ სიმბოლური ღირებულება არ ექნებათ.)</i></p>	DE	
12	<p>თუ მოკლული ან ცოცხალი ცხოველი მოხვდება ისეთი პირის <b>მფლობელობაში</b>, რომელსაც არ გააჩნია მითვისების უფლება, სასწრაფოდ უნდა მიმართოს ნადირობის უფლების მქონე პირს ან უახლოესი პოლიციის სამსახურს.</p>	DE	
13	<p><b>გარეულ ცხოველთა სამყაროში</b> იგულისხმება გარეული ცხოველების ყველა სახეობა, რომელიც ნადირობის კანონს ექვემდებარება. <i>(კომენტარი: თითოეულ ქვეყანაში სახეობები ცალკეულად არის შეტანილი ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალში. ნადირთა ის სახეობა, რომელიც სიაში არ არის, არ მიეკუთვნება გარეულ ცხოველთა სანადირო სახეობებს და არ არის ნაბადართული მათზე ნადირობა. სხვადასხვა მიზეზების გამო ხორციელდება ცალკეულ სახეობათა დაცვა, მაგალითად როდესაც ადგილი აქვს ცხოველთა რაოდენობის შემცირების საფრთხეს, მაშინ აკრალულია მათზე ნადირობა მთელი წლის განმავლობაში.)</i></p>	DE AT	

## 2. სამონადირეო მეურნეობები და მონადირეთა კავშირები

14	<p>ნადირობა დაიშვება მხოლოდ მისთვის გამოყოფილ სამონადირეო ტერიტორიაზე. განასხვავებენ საკუთარ და საერთო სამონადირეო მეურნეობებს.</p> <p><i>(კომენტარი: ამ ქვეყნებში სამონადირეო ტერიტორიების მინიმალური ფართობი მერყეობს 75 და 5000 ჰ-ს შორის.)</i></p>	<p>DE AT DK NL FI PL NO LV CH</p>	
15	<p>ერთმანეთთან დაკავშირებული 74 ჰ სოფლის მეურნეობის, სატყეო ან თევზსაჭერი მეურნეობების მოხმარების ფართობი, რომელიც ერთი ან რამოდენიმე პიროვნების მფლობელობაშია, წარმოადგენენ კერძო სამონადირეო მეურნეობებს.</p> <p><i>(კომენტარი: ეს ფართობები უნდა იყოს აუცილებლად ერთმანეთის მომიჯნავე, ერთი დამაკავშირებელი პუნქტი საკმარისი არ არის. მფლობელები აქ არიან ფიზიკური და იურიდიული პირები)</i></p> <p><i>. ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია უფრო დიდი ზომის საკუთარი სამონადირეო მეურნეობების ფართობები &gt;115 ჰ., )</i></p>	<p>DE AT</p>	
16	<p>კერძო სამონადირეო მეურნეობაში ნადირობა მეპატრონის უფლებამოსილებაში შედის. მაგრამ მას ნადირობა შეუძლია, თუ აქვს ნადირობის უფლება, ე.ი გააჩნია სანადირო ბილეთი.</p>	<p>DE AT FI NO</p>	
17	<p>მფლობელს შეუძლია იჯარით გასცეს თავისი ნადირობის უფლება მათზე, რომლებსაც ნადირობის უფლებამოსილება გააჩნიათ. (პირი, რომელსაც გააჩნია სანადირო ბილეთი).</p> <p><i>(კომენტარი: ფინეთში 15 სამონადირეო მეურნეობის ფარგლებში იჯარა გაიცემა 298 სამონადირეო გაერთიანებაზე, რომლებსაც დასახელებული ჰყავთ 2000-ზე მეტი მონადირე.)</i></p>	<p>DE SE FI NO LV</p>	

18	<p>ერთი რაიონის ყველა ტერიტორიული ფართობი, რომელიც კერძო სამონადირეო მეურნეობას არ ეკუთვნის, ქმნის <b>ჯგუფურ საერთო სამონადირეო</b> მეურნეობას, თუ ისინი მთლიანობაში 200 ჰა აღწევენ.</p> <p><i>(კომენტარი: ეს ფართობებიც უნდა იყოს მომიჯნავე, როგორც ეს საკუთარი სამონადირეო ტერიტორიების შემთხვევაში იყო. ერთი დამაკავშირებელი პუნქტი არ არის საკმარისი.)</i></p> <p>ზოგ ქვეყანაში უფრო დიდი მინიმალური ზომის ტერიტორიებია გამოყოფილი საზოგადოებრივი სამონადირეო მეურნეობებისთვის. <i>ჰოლანდიაში მინიმალურად 5000 ჰა ფართის სამონადირეო მეურნეობებია მოწყობილი ტერიტორიების მფლობელობის მდგომარეობის მიუხედავად.)</i></p>	DE AT NL	
19	<p><b>სხვადასხვა რაიონების</b> მომიჯნავე მიწის ფართობები შესაძლებელია განცხადების საფუძველზე ერთ სამონადირეო რაიონად გაერთიანდეს.</p>	DE	
20	<p>ჯგუფურ სამონადირეო მეურნეობაში ნადირობის უფლება ეკუთვნის <b>სამონადირეო აშხანაგობას</b>. ის ამ უფლებას წესის მიხედვით იყენებს იჯარის საშუალებით.</p> <p><i>(კომენტარი: ავსტრიაში საერთო სარგებლობის სამონადირეო მეურნეობის იჯარით გაცემა იძულებითია. პოლონეთში შეუძლიათ მხოლოდ ნადირობის ეროვნული ორგანიზაციის წევრებს თითოეულ სამონადირეო ტერიტორიაზე მოქმედ კავშირში ნადირობა.)</i></p>	DE AT PL	
21	<p><b>მონადირეთა კავშირში</b> ერთიანდებიან მიწის ფართობების მფლობელები, რომლებიც ქმნიან ერთიან საზოგადოებრივ სამონადირეო მეურნეობებს.</p>	DE	

22	<p>მონადირეთა კავშირებმა უნდა ჩამოაყალიბონ <b>წესდება</b>, რომელიც მოითხოვს დამტკიცებას სამონადირეო სამსახურის მიერ. მონადირეთა კავშირი წარმოდგენილი იქნება სამონადირეო საბჭოს მიერ.</p>	DE	
23	<p>მონადირთა კავშირების შეკრებების <b>გადაწყვეტილებათა</b> ოქმი მოითხოვს ეგრეთწოდებულ ორმაგ ხმათა ურავლესობას. ერთის მხრივ დამსწრები წევრებიდან საჭიროა ხმათა უმრავლესობა და მეორეს მხრივ საჭიროა დამატებით მიწის მფლობელების მიერ წრმოდგენილი ფართობების უმრავლესობა.</p> <p><i>(კომენტარი: ამის გასარკვევად მონადირეთა კავშირებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერების წიგნები, რომელშიც თითოეული წევრი მისი ტერიტორიით და ფართობით იქნება აღნიშნული.)</i></p>	DE	
24	<p>იმ ტერიტორიაზე, რომელიც არ ეკუთვნის სამონადირეო მეურნეობებს ან <b>მშვიდი უბნებია</b>, არ ხორციელდება ნადირობა.</p>	DE	
25	<p><b>მშვიდ უბნებში</b> შემდეგი ფართობები იგულისხმება: შენობები, ეზოები, ბაღები, რომლებიც ღობეებითა და კედლებით არიან შემოვლებულნი, კემპინგის მოედნები, სასაფლაოები, ეკლესიის ეზოები.</p>	DE	
26	<p>ყველა მონადირე, რომლებსაც მოქმედი სანადირო ბილეთი გააჩნიათ, არიან <b>სამონადირეო გაერთიანების</b> წევრები</p> <p><i>(კომენტარი: ზოგიერთ ქვეყანაში სამონადირეო გაერთიანებაში გაწევრიანება სავალდებულოა. ბევრ ქვეყანაში წევრობა ნებაყოფლობითია და გულისხმობს გარკვეულ სერვისს და მომსახურებას.)</i></p>	AT FI PL	

### 3. სამონადირეო იჯარა

27	<p>ნადირობის უფლება შეიძლება მხოლოდ მთლიანობაში გაიცეს იჯარით. (კომენტარი: იჯარით სამონადირეო უფლების მხოლოდ ნაწილობრივ გადაცემა, მაგალითად ცხოველის გარკვეულ სახეობაზე ნადირობაზე ნების დართვა, არ დაიშვება.)</p>	DE	
28	<p><b>სამონადირეო მეურნეობის მოიჯარადის უნარიანობაში</b> იგულისხმება უფლებამოსილება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ნადირობის უფლების იჯარით მოპოვება. ეს ნიშნავს, რომ მოიჯარე კონტრაქტის გაფორმების პერიოდში ფლობს აქტუალურ სანადირო ბილეთს და ასევე მანამდე სულ მცირე სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდა სანადირო ბილეთის მფლობელობაში.</p>	DE	
29	<p><b>ნადირობის უფლების იჯარით აღების</b> უფლებამოსილი პიროვნება შეიძლება მხოლოდ ფიზიკური პირი იყოს და არა იურიდიული.</p>	DE	
30	<p><b>საიჯარო ფართობი:</b> ცალკეული მოიჯარე პირი მხოლოდ 1.000 ჰ საიჯარო ნაკვეთზე უნდა იყოს ნადირობის უფლებამოსილებით აღჭურვილი. (კომენტარი: ამ წესდების მიზანი არის ის, რომ შეძლებისდაგვარად მეტი რაოდენობის მონადირეს მიეცეს იჯარის აღების ან იჯარაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა)</p>	DE	
31	<p>500 ჰ-მდე საზოგადოებრივ სამონადირეო მეურნეობაში მოიჯარის მაქსიმალური რაოდენობაა 3 პიროვნება. ყოველ ახალ 150 ჰ-ზე შეიძლება თითო მოიჯარე დაემატოს.</p>	DE	



32	<p>150 3-მდე საკუთარ სამონადირეო მეურნეობაში მოიჯარის მაქსიმალური რაოდენობაა 2 პიროვნება. ყოველ ახალ დაწყებულ 75 3-ზე შეიძლება თითო პიროვნება დამატებით მოიჯარედ დაემატოს.</p>	DE	
33	<p>სამონადირეო იჯარის კონტრაქტში ჩაიწერება <b>სამონადირეო გადასახადი</b>. რეგულირება ხდება ფართობის სიდიდის მიხედვით და შეადგენს იჯარის ფასის 10-დან 25%.</p> <p><i>(კომენტარი: თითოეულ ქვეყანაში სამონადირეო სექტორში ნაწილობრივ საკმაოდ განსხვავებული საგადასახადო და საწევრო გადასახადების სისტემა მოქმედებს. თანამედროვე ნადირობის კანონები და დებულებები შემოსავლების ხარჯვას არეგულირებენ და წესისამებრ ეს ემსახურება ბუნების და გარეულ ცხოველთა ობიექტების დაცვას, მაგრამ ასევე სამეთვალყურეო სამსახურის მიერ სამონადირეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, კვლევებს და სასერვისო შემთავაზებებსაც.)</i></p>	DE	
34	<p>ნადირობის უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ მონადირე-სტუმრებს <b>ნადირობის ნებართვა</b> მისცენ. ამ ნებართვას უნდა ქონდეს წერილობითი სახე. ნადირობის ნებართვა შეიძლება ვადიანი ან უვადო იყოს, ან რომელიმე სახეობაზე ნადირობით შემოიფარგლებოდეს. სტუმარ მონადირეებს <b>ნადირობის ნებართვის მოწმობა</b> თან უნდა ქონდეთ და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინონ.</p>	DE	
35	<p>ნადირობის ნებართვის მოწმობა შეიძლება ფასიანი ან უფასო სახით გაიცეს. ფასიანი ნადირობის ნებართვის მოწმობა საჭიროებს სამონადირეო სამსახურის თანხმობას, რომელიც ამოწმებს, რომ არ იყოს გადაჭარბებული მოიჯარეების დაშვებულ რაოდენობაზე. უფასო ნადირობის ნებართვის მოწმობები არ მოითხოვენ დადასტურებას სამონადირეო სამმართველოს მიერ.</p>	DE DK AT FI CH	

<p>(კომენტარი: დანიაში მოქმედებს განსაზღვრული ნადირობის ნებართვა გადამფრენ ფრინველებზე, რომლებსაც ერთი წელი ვადა აქვს. მაგრამ ეს ნებართვაც გარკვეულ სამონადირეო მეურნეობაზე ვრცელდება და არ მოქმედებს ქვეყნის მასშტაბით.)</p>		
---	--	--

<p>36 ნადირობა კომერციული მიზნებისთვის აკრძალულია.</p>	<p>NL</p>	
--	-----------	--


**4. სანადირო ბილეთი**

<p>37 ნადირობის მსურველს უნდა გააჩნდეს აქტუალური <b>სანადირო ბილეთი</b>. სანადირო ბილეთი დოკუმენტაციაა, რომელსაც გასცემს სამონადირეო სამსახური.</p>	<p>DE SE AT NL DK FI HU PL NO LV CH</p>	
---	---	--

<p>38 ნადირობისას აუცილებელია სანადირო ბილეთის, როგორც <b>ლეგიტიმაციის</b> დამადასტურებელი დოკუმენტაცია თან იქონიოთ.</p> <p>(კომენტარი: გარკვეულ ქვეყნებში სავალდებულოა სხვა საბუთების ტარებაც (სროლაზე ლიცენზია, სამონადირეო მეურნეობაში წევრობის ბილეთი (PL, იარაღის ბილეთი და ა.შ.)</p>	<p>DE PL LV</p>	
--	-------------------------	--


<p>39 <b>სანადირო ბილეთი</b> გაიცემა ერთიანი სავალდებულო ნიმუშის მიხედვით და მოქმედებს მთელს ქვეყანაში. მისი მოქმედების ვადა 1-დან 3 წლამდე გრძელდება, ნადირობის სეზონის პარალელურად.</p>	<p>DE AT CH NO IT CH</p>	
---	--	--

(კომენტარი: ნადირობის სეზონი იწყება 01. აპრილს და მთავრდება 31.03.)  
 ზოგიერთ ქვეყანაში სანადირო ბილეთი მთელი ქვეყნის მასშტაბით არ მოქმედებს, არამედ მხოლოდ გარკვეული რეგიონისთვის არის განკუთვნილი. ამის მიზეზი არის რეგიონებში ნადირობის უფლების განსხვავებული ფორმები.)




40 | სანადირო ბილეთი პირველად გაცემის წინაპირობაა **სამონადირო გამოცდის** ჩაბარება. სამონადირო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი მოწმობა უვადოა.  
 (კომენტარი: მონადირეებისათვის გამოცდა ირლანდიაში 2010 წლიდან ამოქმედდება.)

DE  
SE  
AT  
DK  
FI  
HU  
NO  
CH




41 | სანადირო ბილეთის გაცემის ან გაგრძელების კიდევ ერთი წინაპირობაა **ნადირობაზე პასუხისმგებლობის დაზღვევის** არსებობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა.

DE



42 | **სამონადირო გამოცდა** შედგება რამდენიმე ნაწილისაგან და მოიცავს: გამოცდას სროლაში, წერილობითი და/ან ზეპირი გამოცდა და საბოლოოდ გამოცდა იარაღის მოხმარების ცოდნაში.  
 (კომენტარი: სამონადირო გამოცდაზე მოსამზადებლად შემოთავაზებული იქნება სტანდარტული მოსამზადებელი კურსები კერძო სკოლების, უნივერსიტეტების ან მონადირეთა კავშირების მიერ. მოიცავენ შემდეგ სასწავლო საგნებს: გარეულ ცხოველთა სამყაროს ბიოლოგია, სოფლის მეურნეობა და ტყეთმონყობა, ნადირობის პრაქტიკა, იარაღის მოხმარების წესები, იარაღის ტექნიკა, მონადირე ძაღლების მართვა, მოკლული ცხოველის დამუშავება, ნადირობის კანონი, ცხოველთა- და ბუნების დაცვის კანონი, უსაფრთხოების დაცვის წესები.)


DE  
SE  
AT  
DK  
FI  
HU  
NO  
CH  
CA



43 | სამონადირეო გამოცდისათვის იქმნება  
**საგამოცდო წესდება**, რომელიც შეიცავს  
ინფორმაციებს საგამოცდო კომისიის  
გადაწყვეტილებების, საგანმანათლებლო  
პროცესი, განცხადება, გამოცდაზე დაშვება,  
ცალკეული საგამოცდო ნაწილების  
თანმიმდევრობა და მათი ჩატარება,  
განმეორება და გადასახადების შესახებ.

*(კომენტარი: რთული შეცდომების დაშვების  
შემთხვევაში, როგორცაა იარაღის ფლობის  
არასათანადო ცოდნა ან არასაკმარისი სროლის  
შედეგები, გამოცდა ჩაბარებულად არ  
ჩაითვლება. მაქსიმალურად ორჯერ შეიძლება  
შემდგომ გამოცდის განმეორება, გერ)*


DE  
SE  
AT  
DK  
FI  
HU  
IT  
CA



44 | სანადირო ბილეთის მფლობელ პირს შეუძლია  
სამონადირეო მეურნეობაში **იარაღის ტარება**  
ნადირობის მიზნით, ასევე დაუტენავ  
მდგომარეობაში იარაღის სამონადირეო  
მეურნეობაში მიტანა და უკან წამოღება.  
ნებართვის დამადასტურებელ საბუთად  
ემსახურება სანადირო ბილეთი. ამ მოწმობის  
გვერდით უნდა იქონიოს იარაღის ფლობის  
დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის  
მოწმობა ან პასპორტი.

*(კომენტარი: კანადაში დაცულ  
ტერიტორიებზე და მის მიმდებარე  
მიდამოებში იარაღის ტარება სასტიკად  
აკრძალულია)*


DE  
CA



45 | სანადირო ბილეთი არ გაიცემა პირებზე,  
რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ 16 წლის  
**მინიმალურ** ასაკამდე.

*(კომენტარი: მინიმალური ასაკი ევროპაში  
მერყეობს, მაგრამ 16 წელზე ნაკლები არ არის  
– ზოგიერთ ქვეყანაში 18 წელი ითვლება  
სრულწლოვანების ასაკად, კანადაში 14 წელი,  
ნორვეგიაში უკვე 14 წლის ასაკიდან შეიძლება  
სამონადირეო განათლების მიღება, მაგრამ  
მხოლოდ 16 წლის ასაკიდან შეიძლება  
ნადირობა.)*


DE



46 **ნადირობის უფლებაზე უარი:** პიროვნებებზე, რომლებსაც საიმედოობა და საჭირო ფიზიკური ვარგისიანობა არ გააჩნიათ, არ გაიცემა სანადირო ბილეთი.

*(კომენტარი: მათ შორის ხვდებიან ცხოვრებაში გამოვლენილი ნაკლოვანებები, როგორცაა შესაძენევი ნერვული შეტევები, ალკოჰოლზე და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება. ასევე მნიშვნელოვანი ფიზიკური არასრულფასოვნება ხდება ნადირობის უფლებაზე იძულებითი უარის მიღების მიზეზი. აქ იგულისხმება ისეთი ნაკლი, რომელიც ამტკიცებს იმ შეხედულებას, რომ ამ პიროვნებას არ შეეძლება იარაღის უსაფრთხოდ მოხმარება. (მაგალითად ხელის ამპუტაცია ან მხედველობის ძლიერი დაქვეითება.)*


DE



47 სანადირო ბილეთი არ გაიცემა, თუ განმცხადებელს **სანადირო ბილეთი ჩამორთმეული** აქვს.

*(კომენტარი: გასამართლება ნებისმიერი სახის ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო საქმის გამო 60 დღიანი სასჯელის მოხდით, შეიძლება შეფასდეს როგორც არასაკმარისი ნდობის ფაქტორი და გამოიწვიოს სანადირო ბილეთის ჩამორთმევა.)*


DE




48 სანადირო ბილეთზე უარის მიღების ან ჩამორთმევის იძულებითი მიზეზების გვერდით, არის კიდევ მიზეზები, რომელზეც **გადაწყვეტილებებს** **სამონადირეო სამსახური** ღებულობს. მათ მიეკუთვნება სამართლიანი ნადირობის წინააღმდეგ უხეში დარღვევები, იარაღის და ვაზნების არამიზნობრივი გამოყენება, შესაბამისი უფლებამოსილების არ მქონე პიროვნებაზე იარაღის ან სასროლო მასალის გადაცემა.

*(კომენტარი: არამიზნობრივ მოხმარებას ეკუთვნის აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როგორცაა ნადირობებს შორის იარაღის გაუსაფრთხოების უფულებლოყოფა,*

DE




საზოგადოებრივი ნადირობისას ან შესვენების დროს დატენილი თოფის დადება ან მისი ტრანსპორტირება, დატენილი იარაღის პიროვნებაზე „თამაშობრივი“ დამიზნება, ნასვამ მდგომარეობაში იარაღისა და სასროლო მასალის მოხმარება, დატენილი თოფის გაწმენდა. ასევე მსგავს ქმედებებს მიეკუთვნება ძლიერ დაჟანგული ან მექანიკური დეფექტის შედეგად არასაიმედო იარაღის გამოყენება. გამოუსედაგარი ან კალიბრისათვის შეუსაბამო ვაზნის მოხმარება განიხილება როგორც არასაკმარისი საიმედოობის კრიტერიუმად.)




49 | სამონადირეო გამოცდაზე დაშვების მოწმობას გასცემს განმცხადებლის საცხოვრებელი უბანზე პასუხისმგებელი სამონადირეო სამმართველო.

DE



50 | სანადირო ბილეთის გაცემის ან მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში მონადირე გადაუხდის **გადასახადს** სამონადირეო სამსახურს.



DE  
SE  
AT  
NL





*კომენტარი: გარკვეულ ქვეყნებში ეს მოსაკრებელი გამოიყენება ბუნების დაცვის, გარეულ ცხოველთა ობიექტების მოვლისა და დაცვის მიზნით ან მათი ბიოლოგიური გამოკვლევებისთვის. ნიდერლანდში არსებობს ორი განსხვავებული სახეობის სანადირო ბილეთი, ერთი განკუთვნილია სამონადირეო მეურნეობებში 5 სახეობის გარეულ ცხოველებზე ნადირობისთვის და მეორე დახურულ სეზონში ნადირობისთვის.)*

## 5. სამონადირეო პრაქტიკა

51	<p>ნადირობა ხორციელდება, როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფური სახით. ტიპიური ფორმები ინდივიდუალური ნადირობის არის შემალლებულ ადგილზე სათვალთვალო პუნქტში ჯდომა და მიპარვით ნადირობა. საზოგადოებრივი ნადირობა ჯგუფური ნადირობის ფორმაა და ხორციელდება სულ მცირე 4 სანადირო ბილეთის მქონე პირის მონაწილეობით. აქ ტიპიური ფორმებია ჩასაფრებული, მორეკვით, მოჭირვით ნადირობა, საყვირებით ან მამებარი ძაღლებით ნადირობა.</p> <p><i>(კომენტარი: ნადირობის სხვადასხვა სახეობების პრაქტიციკებისას არსებობს რიგი შესასრულებელი წესები და რჩევები, რომლის ამ ნუსხაში ჩამოთვლაც დიდ ადგილს დაიჭერდა.)</i></p>	DE AT NL DK	
52	<p>სანახაობრივი ნადირობები (საზოგადოებრივი ნადირობა) გაცხადებული უნდა იქნეს პასუხისმგებელ სამონადირეო სამსახურში.</p>	LV PL	
53	<p><b>ნადირობის მონაკვეთი:</b> დღის განმავლობაში მონადირეს უფლება აქვს მაქსიმალურად ერთი კურდღელი და 20 სხვადასხვა სახის ჩიტი მოინადიროს.</p> <p><i>(კომენტარი: იტალიაში ნებადართულია მგალობელ ფრინველებზე ნადირობა, რაც მრავალ ქვეყანაში აკრძალულია, რადგან მგალობელი ფრინველები გარეულ ცხოველთა ობიექტებად არ ითვლება და ამიტომ ბუნების დაცვის ქვეშ არიან.)</i></p>	IT	
54	<p>გარეულ ღორზე ნებადართულია ძაღლებით ნადირობა და სულ მცირე 18 მონაწილით მხოლოდ ნოემბერში.</p>	IT	

- 55 | **სანადირო მოწყობილობები** როგორცაა ჩასაფრების და შენიღბვის ადგილები მხოლოდ ბუნებრივი მასალისაგან უნდა შედგებოდეს და აუცილებელია ნადირობის დამთავრების შემდეგ მისი ალაგება. | IT | 
- 56 | **ხაფანგით ნადირობისას** არჩეული უნდა იყოს ისეთი პროცესი, რომელიც ცხოველს თავიდან ააცილებს ტკივილებს და ტანჯვას არ მიაყენებს. (ცხოველთა დაცვის კანონი). ნებადართულია მხოლოდ ისეთი ხაფანგების გამოყენება, რომლებიც უმტკივნეულოდ იჭერს ან მყისვე კლავს ცხოველს.  
  
*(კომენტარი: მახე-ხაფანგებით ცოცხლად დაჭერაზე არსებობს კონტროლერული დისკუსია, რის გამოც დაჭერის ეს სახეობა შემდგომ განხილვებში არ არის გათვალისწინებული.)  
რიგ ქვეყნებში ხაფანგებით ნადირობა ნებადართული არ არის.)* | DE SE | 
- 57 | აუცილებელია ისეთი **სასიკვდილო ხაფანგების** გამოყენება, რომლების სატყუარაზე ასხლეტილი რკალების მინიმალური ჩაჭიდების ძალა რკალის დიამეტრის მიხედვით იყოს შემდეგნაირი:  
  

რკალის დიამეტრი	ჩაჭიდების მინიმუმი ძალა
37 სმ	150 N
46 სმ	175 N
56 სმ	200 N
60 სმ	200 N
70 სმ	300 N
- DE | 
- 58 | **ნებადართული ხაფანგები** შეიძლება მხოლოდ დახურულ გარემოში ან დასაჭერ ბუნკერებში ისე განლაგდეს, რომ საფრთხე არ შეუქმნას ადამიანებს. | DE | 



59	განლაგებული <b>ხაფანგები</b> აუცილებელია დღეში ერთჯერ მზის ამოსვლიდან ორი საათის განმავლობაში მაინც შემოწმდეს.	DE	
60	სხვაგვარი <b>ხაფანგების გამოყენება</b> გარდა სასხლეტი ხაფანგისა აკრძალულია.	DE	
61	<p><b>ხაფანგებით ნადირობა</b> შეუძლიათ მხოლოდ იმ პიროვნებებმა განახორციელონ, რომლებსაც ხაფანგით ნადირობის აღიარებულ საგანმანათლებლო კურსებში აქვთ მონაწილეობა მიღებული.</p> <p><i>(კომენტარი: აქ საქმე ეხება სპეციალურ სწავლებას, რომლის შემოთავაზებაც სამონადირეო გამოცდის ფარგლებში არ ხდება და დამატებით უნდა იქნეს დამთავრებული.)</i></p>	DE	
62	<p>ნადირობა ექვემდებარება კანონით დამტკიცებულ შეზღუდვებს და <b>აკრძალვებს</b>. ეს აკრძალვები გამონაკლისების გარეშე ეხება ყველა ნადირობის უფლების მქონე პირებს, ე.ი. სამონადირეო მეურნეობების მფლობელებს, მოიჯარეებს, ნადირობის ზედამხედველს, სტუმარ-მონადირეებს, მონადირეებს, პროფესიულ მონადირეებს და სატყეო სამსახურის თანამშრომლებს.</p>	DE	
63	<p>აკრძალულია <b>საფანტით, კარტეჩით, დაჭრილი ტყვიით, არბალეტით ან ისრებით</b> ჩლიქოსნებზე სროლა.</p> <p><i>(კომენტარი: ჩლიქოსნები არიან ყველა ირმისებრნი, დრუ რქიანების ოჯახი და გარეული ღორი)</i></p> <p><i>ავსტრიაში არ შეიძლება ჩლიქოსნებზე ნადირობის დროს გამოყენებული იქნას გვერდითი ფეთქებადი ვაზნები. უნგრეთში ნებადართულია გარეულ ღორზე ახლო დისტანციიდან სწრაფი სასროლო ვაზნის გამოყენება.)</i></p>	DE SE	

64	<p>აკრძალულია შველზე კარტეჩით ან ჟაკანით სროლა, რომლის მოდების ენერგია 100 მეტრზე 1.000 ჯოულზე ნაკლებს აღწევს;</p>	DE AT	
65	<p>აკრძალულია ჩლიქოსნებზე (გამონაკლისია შველი) 6,5 მმ-ზე მცირე კალიბრიდან სროლა. ჟაკანის მოდების ენერგია 100 მ-ზე 2.000 ჯოულზე მეტს უნდა აჩვენებდეს.</p> <p><i>(კომენტარი: კალიბრის რეგულირება ქვეყნების მიხედვით იცვლება. ზოგიერთ ქვეყანას დადგენილი აქვს უფრო მაღალი მოდების ენერგია (E<sub>100</sub>) ან დამატებით ადგენენ გასროლის წონას.)</i></p>	DE SE AT	
66	<p>აკრძალულია გარეულ ცხოველებზე ნახევრად ავტომატური ან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა, რომლის ლულაშიც 2 ან მეტი ვაზნა თავსდება.</p>	DE AT HU NO	
67	<p>აკრძალულია თოფის გამოყენება, რომელიც 3-ზე მეტი ვაზნით იტენება და გააჩნია 20-ზე ნაკლები ან 12-ზე დიდი კალიბრი.</p>	SE	
68	<p>აკრძალულია გარეულ ცხოველზე პისტოლეტით ან რევოლვერით სროლა.</p> <p><i>(კომენტარი: გამონაკლისია სროლა სოროს და ხაფანგებით დაჭერის ნადირობის ფარგლებში, თუ სროლის მოდების ენერგია მინიმუმ 200 ჯოულს აღწევს.)</i></p>	DE NO LV FI NO	
69	<p>აკრძალულია ჩლიქოსნების ღამის საათებში მოკვლა, გამონაკლისია გარეული ღორი, ასევე ფრინველები.</p> <p><i>(კომენტარი: ღამის საათებზე ითვლება მზის ჩასვლიდან საათნახევრის შემდეგ და საათნახევართ ადრე მზის ამოსვლამდე დროის მონაკვეთი.)</i></p>	DE IT	

70	<p>აკრძალულია გამოყენება პროექტორების, ღამის გამანათებელი ხელოვნური ფარების, სარკეების, სამიზნეების განათებისთვის სპეციალური მოწყობილობების გამოყენება, ღამის სამიზნეები ელექტრონული გამაძლიერებელით, სანადირო იარაღზე დამონტაჟებული რეფლექტორების, ხმის ჩამწერები ან ელექტრონული თვითმსროლელი ხელსაწყოები გარეული ცხოველის დაჭერისა თუ მოკვლის მიზნით. (აკრძალული ნივთები)</p>	DE NO	
71	<p>აკრძალულია შხამის, ნემსკავებიანი ანკესი, ფრინველის დასაწებებლები, ხაფანგები, საჭერი ბადეები, კონუსისებური მახეები ან მსგავსი მოწყობილობების, ასევე დაბრმავებული და დასახიჩრებული ჩიტის გამოყენება <b>ფრინველების</b> დაჭერისა თუ მოკვლის მიზნით. (კომენტარი: ზოგიერთ ქვეყანაში ნადირობა მისატყუებელი ფრინველების ან სხვა ცოცხალი ცხოველის გამოყენებით, რომლებიც სატყუარას ფუნქციას ასრულებს, სავსებით აკრძალულია.)</p>	DE SE LV	
72	<p>აკრძალულია ყველა სახის <b>მარყუქების</b> გამოყენება, რომელშიც შეიძლება ცხოველი გაეზას, მათი დამზადება, გასაყიდად გატანა, შეძენა ან გამოფენა;</p>	DE	
73	<p>აკრძალულია ისეთი <b>ხაფანგების</b> გამოყენება, რომლებიც თანვე არ იწვევს ცხოველის სიკვდილს, ასევე თვითსასროლი იარაღები. (კომენტარი: უნგრეთში აკრძალულია ხაფანგის ყველანაირი გამოყენება.)</p>	DE HU	

74	<p>აკრძალულია გარეულ ცხოველებზე ნადირობა თვითმფრინავიდან, ვეტმფრენიდან, ავტომობილიდან, ძრავიანი ნავებიდან და სხვა მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებიდან.</p> <p><i>(კომენტარი: შვედეთში შეიძლება მოტორიანი ნავიდან სროლა მოტორის გამორთვიდან ერთი წუთის შემდეგ, ნორვეგიაში მოტორიანი ნავიდან ნადირობა 2 კმ დაშორებით უახლოეს მდებარე ხმელეთზე შეიძლება.)</i></p>	DE SE NO	
75	<p>აკრძალულია გამოზრდილი ცხოველის გაშვება ამ ცხოველზე ნადირობის დაწყებამდე არა უგვიანეს 6 თვით ადრე. ტყეში ნებისმიერი გარეული ცხოველის გაშვება მოითხოვს სამონადირო სამსახურის თანხმობას.</p>	DE CH	
76	<p>აკრძალულია გარეულ ცხოველთა მოზიდვა სინთეტურად დამზადებული ნივთიერებების დახმარებით.</p>	DE	
77	<p>აკრძალულია შევარდენით ან სხვა სახის მტაცებელი ფრინველით ნადირობა.</p>	SE FI	
78	<p>გარეულ ცხოველთა ობიექტებზე ნადირობა ისე უნდა იყოს დარეგულირებული, რომ სასოფლო სამეურნეო, სატყეო და თევზჭერის მეურნეობა დაცული დარჩეს. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ბუნების და ლანდშაფტის დაცვის ინტერესები. ნადირობამ ხელი უნდა შეუწყოს, რომ ჯანსაღი, სახეობებით მდიდარი გარეულ ცხოველთა სამყარო შესაბამისი რაოდენობით შენარჩუნებული იყოს. ამას ემორჩილება ცხოველთა განსაზღვრული სახეობების და ამით სანადირო ობიექტების ჩამონათვალის დამუშავება.</p> <p><i>(კომენტარი: ეს დებულება მიაჩნდება შვედის, ირმისებრთა და გარეული ღორის გადაჭარბებული რაოდენობით გამოწვეულ პრობლემაზე და პირველ რიგში მათ მიერ სოფლის- და სატყეო მეურნეობაში მიყენებულ ზარალზე.)</i></p>	DE	

79	<p>სანადიროდ განკუთვნილი ობიექტებისთვის შედგენილი გეგმა დაყოფილია გარეულ ცხოველთა სახეობების, სქესის და ბუნებრივი ასაკის მიხედვით და მათ ადგენს სამონადირო სამსახური. სანადირო ობიექტების გეგმას საფუძვლად უდევს მეტყევე დამკვირვებლების მიერ სამი წლის ჩანაწერების შედეგებიდან გამომდინარე დაფიქსირებული ტყის ვეგეტაციის დაზიანებები, სოფლის მეურნეობაში დარეგისტრირებული ზარალი და ცხოველის საბინადრო გარემოს პირობები.</p>	DE AT CH	
80	<p>კანონმდებლობით სავალდებულოა სანადირო ობიექტების ჩამონათვალის გაკეთება. სამონადირო სამსახური თვალყურს ადევნებს სანადირო პროცესს, რათა საჭიროების შემთხვევაში ჩაერივნონ.</p> <p><i>(კომენტარი: ნადირობა შეიძლება მაგალითად გარეული ცხოველების მიერ მიყენებული მაღალი ზარალის შემთხვევაში, ასევე შესაძლებელია დაწესებული იქნას თანხობრივი გადასახადი ან მოჰყვეს სამაგერო ანაზღაურება.)</i></p>	DE AT CH	
81	<p>მგლის, დათვის ან ფოცხვერით შინაურ ცხოველებზე მიყენებულ ზარალს ნაწილობრივ ან მთლიანად სახელმწიფო ანაზღაურებს.</p>	FI CH	
82	<p>მონადირემ უნდა აწარმოოს ჩლიქოსნებზე ნადირობისას ნანადირევთა სია, რომელსაც მოთხოვნის შემთხვევაში ან სანადირო სეზონის დასრულების შემდეგ წარუდგენს სამონადირო სამსახურს. თუ სამონადირო სამსახური ეჭვს შეიტანს სიის სრულყოფილებაში, შეუძლია ამ მონადირისაგან ცალკეულ შემთხვევაში ფიზიკური მტკიცებულებაც მოითხოვოს.</p> <p><i>(კომენტარი: ფიზიკურ მტკიცებულებას წარმოადგენენ ჩვეულებრივ ტროფეები, თავის ქალა, ქვედა ყბა, რომელთა საშუალებითაც დგინდება მოკლული ცხოველის სქესი და წლოვანება.)</i></p>	DE	

83	<p>ყველა ჩლიქოსნებისთვის არსებობს <b>სანადირო ობიექტების სახეობების მიხედვით მოპოვების წესები</b>, რომლებიც არეგულირებენ გარეულ ცხოველთა სამყაროდან სანადირო ობიექტების რაოდენობას მათი სქესის, წლოვანების, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. ადგილობრივი სანადირო ობიექტებს მიკუთვნებული სახეობების რაოდენობის განმსაზღვრელია გარეული ცხოველის რეალური საბინადრო გარემოს პირობები (პოპულაციის სიდიდე და სტრუქტურა, ჰაბიტატი)</p> <p><i>(კომენტარი: დირექტივები საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ცალკეულად ითარგმნოს)</i></p>	DE	
84	<p>გარეულ ცხოველებზე ნადირობა შეიძლება მხოლოდ წინასწარი დებულების მიხედვით დადგენილი <b>ნადირობის სეზონის</b> მონაკვეთში. დადგენილი დროის გარეთ არ ხდება ცხოველზე ნადირობა. (რეგენერაციის დრო). გარეულ ცხოველთა სამყაროს ყოველი სახეობისთვის, რომელიც ნადირობის კანონს ექვემდებარება სანადირო სეზონი ცალკეულად არის დადგენილი. წინასწარ დადგენილი დროები ითვალისწინებს ბუდობის და გამოჩეკვის დრო, ასევე სხვა ბიოლოგიურ კრიტერიუმებს.</p> <p><i>(კომენტარი: ნადირობის სეზონის ცხრილები საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ცალკეულად ითარგმნოს)</i></p> <p><i>(კომენტარი: ნორვეგიაში უფლება აქვს მიწის მეპატრონეს თავის სამონადირო მეურნეობაში ნადირობის ვადები შეამოკლოს)</i></p>	DE NO FI, DK, AT IT	
85	<p><b>დაჭრილი ცხოველი</b>, საგზაო შემთხვევით ან სხვა გზით დაჭრილი ცხოველი სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს და მოიკლას.</p> <p><i>(კომენტარი: კანონში აღნიშნული ცხოველთა დაცვის მოთხოვნა)</i></p>	DE	

86	<p>მადევრებით, მწევრებით, სოროს ძაღლებით ნადირობისას, წყლის ცხოველებზე ნადირობის დროს ხდება სპეციალიზირებული მონადირე ძაღლების გამოყენება. სავალდებულოა ასევე გამოცდილი ძაღლების გამოყენება ნადირობისას ძებნის მიზნით, გამოცდილი ძაღლის გარეშე ძებნა წესების დარღვევაა.</p>	DE SE NO LV	
87	<p>„გამოცდილად“ ითვლებიან ძაღლები, რომლებსაც ვარგისიანობის შესაბამისი გამოცდები (ნადირობისათვის გამოსადეგი ძაღლების გამოცდა) აქვთ ჩაბარებული.</p>	DE	
88	<p>ძაღლის შესაბამისი სფეროებისათვის სანადიროდ გამოსადეგობა და მისი სანადირო ძაღლების რასაზე მიკუთვნებისათვის შეიძლება შემდეგ საგნებში გამოიყენდეს: კვალის აღება, ნანადირევის მოძებნა, ნადირობა. არ არის აუცილებელი ყველა საგნის გადამოწმება. მოწმობა მხოლოდ ჩაბარებული საგნებისთვის გაიცემა. მაგრამ ყველა საგამოცდო საგნის გვერდით აუცილებელია წარმატებულად გამოცდა საყოველთაო მორჩილებაში, ჩასაფრების დროს ქცევაში, მართვაში და სროლის ხმაურის გამძლეობაში.</p> <p>დამატებით არსებობს რიგი სპეციალური გამოცდებისა, რომლებიც აქ არ არის ჩამოთვლილი.</p> <p><i>(კომენტარი: მრავალ ქვეყანაში გარეულ ცხოველებზე ძაღლების მისევა სასტიკად აკრძალულია. რამდენიმე წლის წინ მელოებზე ძაღლებით ცნობილი ინგლისური ნადირობა აიკრძალა.)</i></p>	DE	

## 6. ნადირობის დაცვა

89	<p><b>ნადირობის ეთიკის დაცვა</b> არის მონადირეზე მიმართული დავალება, რათა ცხოველი ზიანის მიყენებისაგან დაიცვას და ცხოველთა დაცვისთვის და ნადირობისათვის დადგენილი დირექტივების შესრულება უზრუნველყოს.</p> <p><i>(კომენტარი: ნადირობის დაცვა იმ ქვეყნებში სადაც ნადირობის უფლება სახელმწიფოა დაქვემდებარებაშია, ხდება ოფიციალურად დანიშნული მეთვალყურეების მიერ: POL, .)</i></p>	DE	
90	<p>ვინც სხვისი ნადირობის ნებართვის მქონე ტერიტორიაზე დარღვევით ცხოველს ჩაუსაფრდება, დაიჭერს, მოკლავს ან მიისაკუთრებს (<b>ბრაკონიერობა</b>) 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯება.</p>	DE	
91	<p><b>ბრაკონიერობის განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში</b>, მაშინ როცა დანაშაული ჩადენილია ღამის საათებში, ნადირობის აკრძალულ პერიოდში, მახეების გამოყენებით ან ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული რამოდენიმე პიროვნების მიერ, მსგავსი ქმედებები ისჯება სამი თვიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.</p>	DE	
92	<p><b>ნადირობის დაცვას</b> მიეკუთვნება ცხოველის საკვების ნაკლებობის ან კვების აკრძალვის მეთვალყურეობა, სათანადო ქმედებების განხორციელება, ასევე ცხოველთა დაავადებებზე დაკვირვება და მათ წინააღმდეგ ბრძოლა.</p> <p><i>(კომენტარი: რაც შეეხება გარეულ ცხოველთა დაავადებების კონტროლს, წინა პლანზე დგას ის დაავადებები, რომლებიც ადამიანებზე ადვილად გადადის: ცოფი და ჯილეხი, ღორის ჭირი, ფრინველის ჭირი, თურქული, მიქსომატოზი, ტულარემია, და სხვები.)</i></p>	DE	



93 | უფლებამოსილი მონადირე შეიძლება იყოს: DE  
 სამონადირეო სამმართველოს წარმომადგენელი, ნადირობის უფლების მქონე პირი, სახელმწიფოს მიერ დანიშნული ნადირობის მეთვალყურე, სატყეო დეპარტამენტის, ასევე პოლიციის თანამშრომელი და სხვა საჯარო სამსახურის მუშაკი.

94 | პირადი მონაცემების დადგენა: შეხვედბა რა DE  
 ნადირობის უფლებამოსილი დამცველი მის ტერიტორიაზე პიროვნებას, რომელსაც არ გააჩნია სანადირო ბილეთი, არღვევს ასევე სხვა სამონადირეო წესებს, ან სამონადირეო აღჭურვილობით იმყოფება გზაში, შეუძლია გააჩეროს ეს პიროვნება და დაადგინოს მისი პირადი მონაცემები.

*(კომენტარი: გარდა ამისა მას შეუძლია ამ პიროვნებას ჩამოართვას მოკლული ცხოველი, ასევე იარაღი ან მონადირე ძაღლი.)*

პირადი მონაცემების დადგენა მოხდება შემდეგი გზით, რომ აღნიშნული პიროვნება იდენტიფიცირებისათვის ფოტოსურათიან პირადობის დამადასტურებელ მოწმობას წარმოადგენს. თუ ეს ნებაყოფლობით არ მოხდება, ნადირობის უფლებამოსილ დამცველს არა აქვს ძალის გამოყენების შესაძლებლობა, როგორცაა პიროვნების, მისი ნივთების ან მანქანის გაჩხრეკა. თუმცა ამის უფლება აქვს ნადირობის იმ დამცველს, რომელიც პროკურატურის დამხმარე თანამშრომელია. ეს ვრცელდება აგრეთვე პოლიციელებზე და ნადირობის ზედამხედველზე, რომელიც პროფესიონალი მონადირეა ან სატყეო განათლება გააჩნია. ეს უფლებამოსილება მოიცავს მაგ: ფიზიკურ შემოწმებას, შენობებისა და ავტომანქანების ჩხრეკა, ნივთების ჩამორთმევა და პირადობის დასადგენად გატარებულ ქმედებებს).

7. მონადირეების მიერ იარაღისა და საომარი მასალის შექმნა

95	<p>ნებადართული სანადირო <b>თოფი</b> (60 სმ-ზე გმელი) შეუძლია მონადირეს სასურველი რაოდენობით შეიძინოს. თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად ესაჭიროება იარაღის გამყიდველს წარუდგინოს სანადირო ბილეთი. მას შეუძლია შეიძინოს მხოლოდ ისეთი თოფები, რომლების სანადიროდ გამოყენებაც არ იკრძალება სამონადირო კანონის მიხედვით. შექმნიდან ორი კვირის განმავლობაში ვალდებულია განაცხადი გააკეთოს იარაღის ფლობის დოკუმენტაციის მისაღებად, თუ მას ეს ჯერ არ გააჩნია, ან თოფი აღანიშნინოს უკვე არსებულ იარაღის ფლობის მოწმობაში.</p>	DE	
96	<p><b>ცეცხლსასროლი იარაღის</b> შექმნისთვის მონადირეს ესაჭიროება წინასწარ იარაღის ფლობის მოწმობაში აღნიშნული განსაზღვრული იარაღის შექმნის ნებართვა. მონადირეებს შეუძლიათ 1 ან 2 ცეცხლსასროლი იარაღის შექმნა.</p>	DE	
97	<p>მონადირეს უფლება აქვს ნებისმიერი კალიბრის სანადირო <b>თოფისთვის საომარი მასალა</b> შეიძინოს. ასევე ისეთებიც, რომლებიც მის იარაღის შენახვისა და ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტში შეტანილი იარაღისათვის არ არის განკუთვნილი. სასროლო მასალის შექმნის უფლებამოსილების მტკიცებულებად საკმარისია სანადირო ბილეთის ჩვენება.</p>	DE	
98	<p><b>ტყვიის შემცველი</b> სასროლო მასალის გამოყენება აკრძალულია.</p> <p><i>კომენტარი: ეს უპირველესად ხდება წყალსაცავების დაცვის მიზნით. გარკვეულ ქვეყნებში რეკომენდებულია ტყვიის ნაცვლად რბილი რკინისგან დამზადებული საფანტის გამოყენება.)</i></p>	LV	

99 | **საომარი მასალის ცაცხლსასროლი იარაღისთვის** მონადირეს შეუძლია მხოლოდ თავისი იარაღის ფლობის ნებართვის დამადასტურებელ დოკუმენტში აღნიშნული იარაღებისათვის შეიძინოს. ამ მიზნით მან უნდა წარადგინოს ყიდვისას იარაღის ფლობის დოკუმენტში აღნიშნული ტყვიაწამლის შეძენის ნებართვა. სხვა სახის სასროლო მასალის შეძენის ან ფლობის უფლება მონადირეს არა აქვს.

DE

